2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 93 (1003). | ოთხშაბათი, 14 ნოემბერი, 1956 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

# ვინ დაიცავს სამშობლოს სპორტულ ღირსებას მელბურნში

### კალათბურთი

გუნდის ხელმძღვანელი ნ. სემაშკო; მწვრთნელები: ს. სპანდარიანი, გ. ნიკიტინი; მსაჯები: ვ. კოსტინი, ს. სინიაკოვი.

მონაწილენი: ა. ბოჩკარიოვი, მ. სემიონოვი, ს. სტონკუსი, ა. ლაურიტენასი, ი. კრუმინში, მ. ვალდმანისი, ვ. ტორბანი, ი. ოზეროვი, კ. პეტკიავიჩუსი, მ. ზუბკოვი, მ. სტუდენეცკი, ვ. მუიჟნიეკსი.

### კრივი

გუნდის ხელმძღვანელი ი. ნიკიფოროვ-დენისოვი; მწვრთნელები: ვ. მიხაილოვი, ს. შჩერბაკოვი; მსაჯები: კ. გრადოპოლოვი, მ. ტიმოშინი.

მონაწილენი: ვ. სტოლნიკოვი, ბ. სტეპანოვი, ვ. საფრონოვი, ა. ლაგედკო, ვ. ენგიბარიანი, ე. ბორისოვი, რ. კარპოვი, გ. შატკოვი, რ. მურაუსკასი, ლ. მუხინი. სათადარიგონი: ო. გრიგორიევი, ი. გრომოვი, ა. კორომისლოვი, ე. ფეოფანოვი.

### ჭიდაობა თავისუფალი

გუნდის ხელმძღვანელი ვ. კრუტკოვსკი; მწვრთნელები: ა. კატულინი, დ. ციმაკურიძე; მსაჯი ა. იალტირიანი.

მონაწილეები: გ. საიადოვი, მ. შახოვი, ლ. სალიმულინი, ა. ბესტაევი, ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე, ბ. კულაევი, ს. ტარასოვი, მ. ცალქალამანიძე, ა. მიტტუსი, ე. საარი, ი. ვიხრისტიუკი.

### ჭიდაობა კლასიკური

გუნდის ხელმძღვანელი ვ. კრუტკოვსკი; მწვრთნელები: ვ. კოვარსკი, ბ. სოკოლოვი; მსაჯი ა. რუნოვი.

მონაწილენი: ნ. სოკოლოვი, კ. ვირუპაევი, ვ. სტაშკევიჩი, ვ. როსინი, ვ. მანეევი, გ. კარტოზია, ვ. ნიკოლაევი, ა. პარფიონოვი, ნ. გარაევი, რ. ძნელაძე, გ. გამარნიკი, ა. ტკაჩოვი, ი. კოტკასი.

### ველოსიპედი

გუნდის ხელმძღვანელი ა. კუპრიანოვი; მწვრთნელები: ლ. შელეშნევი, ე. არხიპოვი;

მონაწილენი — ტრეკი: ბ. სავოსტინი, ბ. რომანოვი, რ. ვარგაშკინი, ვ. ლეონოვი, ბ. ვასილიევი, ვ. ილინი, რ. ჩიჟიკოვი, ვ. მიტინი, ე. გუსევი, ვ. ბახვალოვი. გზატკეცილი: ი. კოლედოვი, ნ. კოლუმბეკი, ა. ჩერეპოვიჩი, ვ. კაპიტონოვი, ვ. ვერშინინი.

### წყალბურთი

გუნდის ხელმძღვანელი ს. პუშნოვი; მწვრთნელი ვ. უშაკოვი; მსაჯი ნ. პროსტიაკოვი.

მონაწილენი: პ. მშვენიერაძე, ი. შლიაპინი, ვ. პროკოპოვი, პ. ბრეუსი, ვ. კურენოი, ნ. გვახარია, ბ. გოიხმანი, გ. ლეზინი, ვ. აგეევი, ბ. მარკაროვი, მ. რიჟაკი.

### ნიჩბოსნობა აკადემიური

გუნდის ხელმძღვანელი ვ. კუჩმენკო; მწვრთნელები: პ. როდიონოვი, ბ. ბრეჩკო, ა. შვედოვი.

მონაწილენი: ვ. ივანოვი, ი. ტიუკალოვი, ა. ბერკუტოვი, გ. ჟილინი, ქ. ემჩუკი, ა. ენდოგური, ი. ბულგაკოვი, ვ. ივანოვი, ლ. ზახაროვი, ა. შეფი, ნ. კარასიოვი, ი. ივანოვი, ი. პოპოვი, ა. არხიპოვი, ვ. ზანინი, ი. ჩორსტვი, ა. ფეტისოვი, ი. სოროხინი, ე. სამსონოვი, ლ. გისენი, ს. ამირაგოვი, ე. ვარდინა, ვ. კრიუკოვი, ვ. პეტროვი, ა. ანტონოვი, ო. ვასილიევი გ. გუშჩენკო, ბ. ფედოროვი.

### ნიჩბოსნობა ბაიდარებით და კანოეთი

გუნდის ხელმძღვანელი ვ. კუჩმენკო; მწვრთნელები: ი. როგაჩოვი, გ. კრასნოპერცევი, ზ. პეტერსონი, ე. დემენტიევა.

მონაწილენი: ა. სილაევი, ვ. იაკუნინი, ს. ოშჩენკოვი, გ. ბუხარინი, გ. ბოტევი, პ. ხარინი, ვ. ზვიოზდკინი, ი. პისარევი, ვ. ნაუმოვი, მ. კაალისტე, ა. დემიტკოვი, ე. იაცენკო, ს. კლიმოვი.

### ტანვარჯიში

გუნდის ხელმძღვანელი პ. პეტროვი; მწვრთნელები: ნ. პოპოვი, ა. პოლეჟაევი, ი. ჟურავლიოვი, ა. მიშაკოვი, ა. ჩერვიაკოვა. მსაჯები: ვ. ლავრუშჩენკო, ტ. დემიდენკო, ვ. ბელიაკოვი, კ. კარაკაშიანცი, ა. შეფერი, პიანისტი ე. ვევრიკი.

მონაწილენი — ვაჟები: ვ. მურატოვი, ვ. ჩუკარინი, ბ. შახლინი, ა. აზარიანი, პ. სტოლბოვი, ი. ტიტოვი, ვ. პორტნოი, ვ. ლიპატოვი. ქალები: ლ. ლატინინა, თ. მანინა, ს. მურატოვა, პ. ასტახოვა, ლ. კალინინა, გ. კონოვალოვა ლ. ეგოროვა, რ. ბორისოვა.

### მძლეოსნობა

გუნდის ხელმძღვანელი კ. კრუპინი, მწვრთნელები: ლ. ხომენკოვი, გ. კორობკოვი, გ. ნიკიფოროვი, ვ. სადოვსკი, გ. კუროვა, დ. მარკოვი, ვ. ვოლკოვი, პ. კოზლოვსკი. მსაჯები: ნ. კალინინი, ა. ფრუკტოვი, ი. ისურინი.

მონაწილენი — ვაჟები: ბ. ტოკარევი, ლ. ბარტენიევი, ი. კონოვალოვი, ვ. სუხარევი, ი. ბაშლიკოვი ა. იგნატიევი, კ. გრაჩოვი, ვ. ეპიშინი, პ. პიპინე, ს. სუხანოვი, ე. სოკოლოვი, ვ. კუცი, ი. ჩერნიავსკი, პ. ბოლოტნიკოვი, ბ. სტოლიაროვი, ა. მიხაილოვი, ი. ლიტუევი, ა. იულინი, ო. ფედოსეევი, ი. ტერ-ოვანესიანი, დ. ბონდარენკო, ი. კაშკაროვი, ვ. სიტკინი, ვ. პოლიაკოვი, ლ. შჩერბაკოვი, ვ. კრეერი, ე. ჩენი, ვ. ბულატოვი, ვ. ჩერნობაი, ა. პეტროვი, ბ. მატვეევი, ო. გრიგალკა, კ. ბუხანცევი, ვ. ოვსეპიანი, ბ. ბალიაევი, ვ. ლოშჩილოვი, ვ. ციბულენკო, ვ. კუზნეცოვი, ა. გორშკოვი, მ. კრივონოსოვი, ა. სამოცვეტოვი, დ. ეგოროვი, ვ. კუზნეცოვი, ი. კუტენკო, უ. პალუ, ხ. რაუშჩინი, ე. კადიაკინი, ვ. ვლასენკო, ი, ფილინი, ა. ივანოვი, ბ. გრიშაევი, ლ. ხპირინი, ბ. იუნკი, ა. მიკენასი, გ. კლიმოვი, მ. ლავროვი, ე. მოსკინსკოვი. ქალები: მ. იტკინა, ო. კოშელევა, ი. ბოჩკარიოვა, გ. რეზჩიკოვა, ვ. იუგოვა, ვ. კრეპკინა, მ. გოლუბნიჩაია, გ. ბისტროვა, ნ. ბესედინა, ვ. ბალლოდი, მ. პისარევა, გ. პოპოვა, ნ. დვალიშვილი, ვ. შაპრუნოვა, ი. ბეგლიაკოვა, ა. იოლკინა, ნ. პონომარიოვა, გ. ზიბინა, ტ. ტიშკევიჩი, ზ. დოინიკოვა, ი. იაუნზემე, ნ. კონიაევა.

### ცურვა

გუნდის ხელმძღვანელი ზ. ფირსოვი; მწვრთნელები: ვ. კიტაევი, კ. ალიოშინა.

მონაწილენი: ლ. ბალანდინი, ვ. სოროკინი, ბ. ნიკიტინი, ხ. იუნიჩევი, ფ. დოსაევი, ი. ზასედა, გ. ნიკოლაევი, გ. ანდროსოვი, ვ. სტრუჟანოვი, დ. კლიპოვა.

### წყალში ხტომა

გუნდის ხელმძღვანელი ს. პუშნოვი; მწვრთნელები: ა. ჟიგალოვი, ე. ბოგდანოვსკაია; მსაჯები: ი. ბარკანი, გ. კუზნეცოვა.

მონაწილენი — ქალები ვ. ჩუმიჩოვა, ნ. კრიუტოვა, ე. ბლიუვასი, თ. კარაკაშიანცი, ლ. ჟიგარიოვა, რ. გოროხოვსკაია. ვაჟები: რ. ბრენერი, ი. კაზაკოვი, გ. გალკინი, მ. ჩაჩბა, გ. ბელი.

### საიალქნო სპორტი

გუნდის ხელმძღვანელი გ. ელისეევი, მწვრთნელები: მ. ლიპსკი, მ. ლავროვი.

მონაწილენი: კ. ალექსანდროვი, კ. მელგუნოვი, ლ. ალექსეევი, ი. მატვეევი, ა. მაზოვკა, პ. ტოლსტიხინი, ტ. პინეგინი, ფ. შუტკოვი, ბ. ილინი, ა. ჩუმაკოვი, ვ. გორილოვი, ე. აისონი, ი. შავრინი.

### სროლა ტყვიით

გუნდის ხელმძღვანელი ა. რომანოვი; მწვრთნელები: ი. ანდრეევი, ა. გორდიუკი; მსაჯი ა. მაქსიმოვი.

მონაწილენი: ა. იასინსკი, მ. უმაროვი, ვ. ბორისოვი, ბ. პერებერინი, ე. ჩერკასოვი, ვ. სოროკინი, ვ. რომანენკო, ვ. სევრიუგინი, ა. ბოგდანოვი, ა. ერდმანი.

### სროლა სასტენდო

გუნდის ხელმძღვანელი ა. რომანოვი; მწვრთნელი ნ. პოკროვსკი.

მონაწილენი: ი. ნიკანდროვი, ნ. მოგილევსკი.

### თანამედროვე ხუთჭიდი

გუნდის ხელმძღვანელი ო. ლოგოფეტი; მწვრთნელი ა. სოკოლოვი.

მონაწილენი: ი. ნოვიკოვი, ი. დერიუგინი, კ. სალნიკოვი, ა. ტარასოვი.

### ძალოსნობა

გუნდის ხელმძღვანელი პ. პეტროვი; მწვრთნელები: ი. კუცენკო, ნ. შატოვი; მსაჯები: კ. ნაზაროვი, ვ. სიმაკოვი.

მონაწილენი: ვ. სტოგოვი, ე. მინაევი, ი. უდოდოვი, ი. რიბაკი, ფ. ბოგდანოვსკი, ვ. სტეპანოვი, ა. ვორობიოვი, სათადარიგონი: რ. ხაბუტდინოვი, ა. მედვედევი.

### ფარიკაობა

გუნდის ხელმძღვანელი ნ. პოპოვი; მწვრთნელები: ი. ხოზიკოვი, ვ. არკადიევი, ი. მანაენკო; მსაჯი გ. ბოკუნი.

მონაწილენი — ქალები: ვ. რასტვოროვა, ნ. შიტიკოვა, ე. ეფიმოვა. ვაჟები: მ. მიდლერი, ი. ივანოვი, ი. რუდოვი, ვ. ჟდანოვიჩი, ი. ოსიპოვი, ა. ოვსიანკინი, ი. რილსკი, ლ. კუზნეცოვი, დ. ტიშლერი, ლ. ბოგდანოვი, ე. ჩერეპოვსკი, ა. ვეტროვი, ლ. საიჩუკი, ი. უდრასი, ა. ჩერნუშევიჩი, რ. ცირეკიძე, ვ. ვდოვიჩენკო, ვ. ჩერნიკოვი.

### ფეხბურთი

გუნდის ხელმძღვანელი ვ. მოშკარკინი; მწვრთნელები: გ. კაჩალინი, ნ. გულიაევი; მსაჯი ნ. ლატიშევი.

მონაწილენი: ლ. იაშინი, ბ. რაზინსკი, ნ. ტიშჩენკო, მ. ოგონკოვი, ბ. კუზნეცოვი, ა. პარამონოვი, ი. ნეტო, ა. მასლიონკინი, ი. ბეცა, ბ. ტატუშინი, ა. ისაევი, ნ. სიმონიანი, ს. სალნიკოვი, ა. ილინი, ვ. ივანოვი, ე. სტრელცოვი, ვ. რიჟკინი, ი. ბელიაევი, ა. პორხუნოვი.

## დარჩა ერთი მატჩი

**ოფიცერთა სახლი (თბილისი) — ქ. მოლოტოვი**

არმიელებმა, რომელთა რიგებში მარჯვენა გარემარბ დალაქიანის ნაცვლად თამაშობდა ბაბაევი, თავიდანვე თავბრუდამხვევი შეტევები განავითარეს მოწინააღმდეგის კარზე, მაგრამ მოლოტოველთა მცველების ენერგიულმა თამაშმა და თბილისელ თავდამსხმელთა არაზუსტმა დარტყმებმა მასპინძლებს საშუალება არ მისცა გაეხსნათ ანგარიში.

მრავალრიცხოვანი უშედეგო იერიშების გამო არმიელებს აშკარად დაეტყოთ აღელვება. დაიწყო ნერვიულობა, რამაც სათანადო გავლენა იქონია მატჩის მსვლელობაზე. თამაში გათანაბრდა და მალე ბურთმა თბილისელთა ნახევარზე გადმოინაცვლა, ბრძოლაში ჩაება მეკარე ტიტოვი.

შეხვედრის 37-ე წუთზე თბილისელებმა მარცხენა ფრთიდან მაღალი ბურთი ჩამოკიდეს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. მცველებს და მეკარეს დაასწრო მელაშვილმა და ძნელი მდგომარეობიდან თავური დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. პირველმა წარმატებამ აღაფრთოვანა არმიელი ფეხბურთელები. მათ კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

შესვენების შემდეგ მოლოტოველები მოედანზე საპასუხო გოლის გატანის აშკარა რწმენით გამოვიდნენ. მათ კოლექტიურად, ზედიზედ მწვავედ შეუტიეს თბილისელთა კარს, მაგრამ ამაოდ. მათი მიზანი შეუსრულებელი დარჩებოდა მასპინძლების დაცვა რომ არ დახმარებოდათ. ერთ-ერთი თავისუფალი დარტყმა არასწორად გაითამაშეს თორაძემ და კვირკველიამ, ბურთს მიუსწრო მოლოტოველმა შავშუკოვმა და კარისაკენ გაგზავნა იგი — 1:1.

ამის შემდეგ სტუმრები კარგა ხანს ფლობდნენ მოედანს, თბილისელები მოქმედებდნენ საჭირო გეგმის გარეშე. ფეხბურთელთა დაძაბულობა უხეშობაში გადაიზარდა. მსაჯი ბახრამოვი იძულებული შეიქნა მოედნიდან გაეძევებინა მოლოტოველთა ერთ-ერთი ფეხბურთელი. არმიელები მეტად საჭირო ქულის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

უკანასკნელ 15 წუთში თბილისელები თითქმის მთელი შემადგენლობით მოწინააღმდეგის ნახევარზე გადასახლდნენ. გამოუყენებელი დარჩა მრავალი სახიფათო მომენტი. არ ჩანდა სასურველი გოლი. მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე მოლოტოველთა საჯარიმო მოედანზე შექმნილი არეულობა კარგად გამოიყენა ბაბაევმა და მეორე ბურთი გახვია მოწინააღმდეგის კარში. მოპოვებულია მეტად საჭირო, მაგრამ ძნელი გამარჯვება — 2:1.

თბილისის არმიელებს ჩასატარებელი დარჩათ კიდევ ერთი მატჩი. გორკის „ტორპედოსთან".

• • •

აშხაბადში ადგილობრივმა „კოლხოზჩიმ" მიიღო გათამაშების მეორე ლიდერი კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი". შეხვედრა მოიგეს ვოლგელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0.

**ლ. ოთარაშვილი**



სურათზე: სახიფათო მომენტი თბილისელთა კართან. მეკარე ტიტოვი ნახტომით იგერიებს ძნელ ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოძმე ერის, სომეხი ხალხის ფიზიკური კულტურის ისტორია ორ ათეულზე მეტ საუკუნეს ითვლის. უძველეს პერიოდში, როცა სომხეთი ძლიერ მონათმფლობელურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ფიზაღზრდის სისტემა სამხედრო ვარჯიშის ხასიათს ატარებდა. მაგრამ ძველი სომხები მხოლოდ ამით როდი ფარგლავდნენ თავიანთ საქმიანობას, ხშირად აწყობდნენ საჩვენებელ წვრთნა-ვარჯიშებს და, ასე გასინჯეთ, საერთაშორისო ასპარეზზედაც კი გამოდიოდნენ.

საინტერესო ფაქტს გვატყობინებს უძველესი დროის მწერალი სექსტ იული აფრიკელი: არტაშატელი თავადი ვარაზდატი, რომელიც სხვა ... ერთად 385 წ... ოლიმპიური თამაშ... ობდა, გამარჯვებ... ბერძნულ კლასი... (რბენა, ხტომა, ბ... ტყორცნა და ... გადიოდა წლებ... რისა და სპორტის... ხალხში მტკიცე ... გან ამის გარეშე ... ბრძოლის წარმო... წინააღმდეგ. იმ ... სახლეობის საყვა... შეადგენდა საერთ... რჯიშები — ცხ..., ფარიკაობა...

ყველაზე პოპუ...

◁ ◇ ▷

# ჩვენი პერსპექტივები

**საუბარი სომხეთის ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ხაჩიკიანთან**

თითქმის ორ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადიდან ერევანში დაბრუნდა სომხეთის სპორტული დელეგაცია. რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს საბჭოთა სპორტის ისტორიის ამ უდიდეს ღონისძიებაში გამარჯვებულებს — ჩვენი ქვეყნისა და სპარტაკიადის ჩემპიონებს ვ. ოვსეპიანს, ვ. ენგიბარიანს, ა. აზნაურიანს, ი. ნოვიკოვს, სომხეთის ხუთჭიდელთა გუნდს, რომელმაც მოიპოვა პირველი ადგილი და ერევანში ჩამოიტანა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის პრიზი.

ამ შეჯიბრებაზე სომხეთის სპორტსმენებმა ერთი საკავშირო და 18 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს, მოიპოვეს 5 ოქროს, 9 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი.

ყველა ეს წარმატება თავისით როდი მოსულა. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში მნიშვნელოვნად გარდაიქმნა მუშაობა რესპუბლიკის ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში. შიდასაკოლექტივო, სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკური სპარტაკიადების პერიოდში ყველა ერთი მისწრაფებით ცხოვრობდა — თავი გამოეჩინა შეჯიბრებებზე, მოხვედრილიყო რესპუბლიკის ნაკრებში და ღირსეულად დაეცვა მისი სახელი ხალხთა სპარტაკიადაზე. რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალამდე ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო სომხეთის ყველა ძირეული კოლექტივის ოთხმა მეხუთედმა. ამ პერიოდში საზოგადოებრივი აქტივის დახმარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა სპორტსმენებთან მუშაობის ხარისხი.

რამდენჯერმე მოვაწყეთ საწვრთნელი შეხვედრები საქართველოს, აზერბაიჯანისა და სხვათა გუნდებთან სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. ხალხთა სპარტაკიადაზე საერთო IX ადგილი მოვიპოვეთ.

სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში განსაკუთრებით სუსტად იმუშავა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკმა". მიუხედავად იმისა, რომ იგი თავის რიგებში 10 ათასზე მეტ ფიზკულტურელს აერთიანებს, მძლეოსანთა რესპუბლიკური ნაკრებისათვის ვერცერთი სპორტსმენის გამოზრდა ვერ შეძლო. უფრო მეტიც. სომხეთის სპარტაკიადაზე მონაწილე 519 სტუდენტიდან მხოლოდ სამმა შეასრულა პირველი თანრიგი.

სწორედ მძლეოსნობის, საწყლოსნო სპორტისა და ძალოსნობისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ განაპირობა ჩვენი ჩავარდნა ხალხთა სპარტაკიადაზე. აღნიშნულს ისიც უნდა დაემატოს, რომ რესპუბლიკაში სათანადო განვითარება ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა სასტენდო სროლამ, ნიჩბოსნობამ, ცხენოსნობამ.

სპარტაკიადიდან დაბრუნებისთანავე შევუდექით გარღვევების დაძლევას. ამჟამად ყველა ცენტრალურ და ძირეულ სპორტულ სექციებში დაწვრილებით იხილავენ რესპუბლიკური გუნდების დაბალი შედეგების მიზეზებს, სახავენ ღონისძიებებს სასწავლო პროცესის უფრო მაღალ დონეზე დაყენებისათვის. მძლეოსნობის რესპუბლიკური სექციის გაფართოებულ სხდომაზე მწვრთნელებს, რომლებიც მანამდე მხოლოდ სპორტსმენთა ვიწრო წრით იყვნენ შემოფარგლულნი და ივიწყებდნენ სექციებში ახალგაზრდობის მასობრივად მიზიდვის აუცილებლობას, დაევალათ: არსებითად შეცვალონ კურსი, მეტი ყურადღება დაუთმონ დამწყებებს, იმუშაონ მოყვარულთა რაც შეიძლება ფართო მასებთან.

დამთავრდა ხალხთა სპარტაკიადა, მაგრამ წინ კიდევ მრავალი ღონისძიება გველოდება. მომავალ წელს ბაქოში მოეწყობა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მორიგი სპარტაკიადა. ყველა წინა შეჯიბრებაში გამარჯვებულები გამოდიოდნენ საქართველოს სპორტსმენები. ისინი სპორტის ბევრ სახეობაში გაცილებით ძლიერები არიან ჩვენზე. მაგრამ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის უფრო მაღალ დონეზე აწევით, მეტი მონდომებით შეგვიძლია მალე გავუთანასწორდეთ მოძმე ქართველ სპორტსმენებს. ამის უტყუარი მაგალითია აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის უკანასკნელი სპარტაკიადა, მაშინ სომხეთის სპორტსმენები საბოლოო შედეგების მიხედვით ისე მიუახლოვდნენ საქართველოს დელეგაციას, როგორც არასოდეს და ზოგ სახეობაში გუნდური პირველობაც კი მოიპოვეს.

ახლა მთელი ჩვენი საქმიანობა სწორედ აქეთკენაა წარმართული. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვთა სპორტულ სკოლებს, გადასინჯული და გადახალისებულია მწვრთნელთა შემადგენლობა. ერევანში შეიქმნა სპეციალიზებული სპორტსკოლა საწყლოსნო სახეობებში. კიროვის რაიონის სპორტული სკოლა, რომელიც რესპუბლიკური სტადიონის ბაზებზე მუშაობს ძირითად ყურადღებას მიაქცევს თანრიგოსან მძლეოსანთა მომზადებას.

სომხეთის კომუნისტური პარტიისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით რესპუბლიკის ყველა სკოლა უზრუნველყოფილი იქნება მარტივი ტიპის მძლეოსნური სექტორებით, სპორტთამაშობათა მოედნებითა და სხვა ბაზებით. განათლების სამინისტრომ საგრძნობი თანხა გამოყო სკოლებში ახალი სპორტინვენტარის შესაძენად, რაც საშუალებას მოგვცემს არა მარტო გავზარდოთ სასწავლო პროცესის ხარისხი, არამედ გავაფართოვოთ მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობაც.

ამიერკავკასიის სპარტაკიადა, სადაც არ უნდა ჩატარებულიყო იგი თბილისში, ბაქოსა თუ ერევანში, ყოველთვის მეგობრობის ნიშნით მიმდინარეობდა, ხელს უწყობდა სამი მოძმე რესპუბლიკის სპორტული კოლექტივების კიდევ უფრო დაახლოვებას.

სომხეთის სპორტსმენები ძალების დაუზოგავად იბრძოლებენ მომავალ, VIII სპარტაკიადაში გამარჯვებისათვის. ამასვე ვუსურვებთ მოძმე საქართველოს, მოლდავეთისა და აზერბაიჯანის სპორტსმენებს.

# შემოქმედი საზ...

ერევნის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში, სადაც ფიზკულტურის მასწავლებლად ყოფილი მოკრივე ა. ჰობელი მუშაობდა, მძლეოსანთა სასკოლო პირველობა ტარდებოდა. ჭაბუკები ზედიზედ აუმჯობესებდნენ შედეგებს სიმაღლეზე ხტომაში. თანდათან მაღლა იწევდა თამასა, მცირდებოდა მონაწილეთა რაოდენობა და ბოლოს შეჯიბრებას ერთი მოსწავლე შერჩა. მან კიდევ ითხოვა სიმაღლის მომატება. თანატოლები გაკვირვებით შესცქეროდნენ ამ „მეტიჩარას", რომელსაც სკოლის ახალი რეკორდის დამყარება განეზრახა. სარეკორდო სიმაღლე დაძლეულია. თანაკლასელები და მასწავლებლები არამ დავთიანის გამარჯვებას ულოცავდნენ.

— სწორედ ეს წარმატება, ეს წამახალისებელი მილოცვები იყო ჩემთვის სტიმულის მომცემი დამეწყო რეგულარული წვრთნა, — იგონებს ახლა ლენინაკანელი მეწაღის შვილი, რომელიც იმ ხანებში ისის იყო ერევანში გადმოვიდა საცხოვრებლად. არამი გამოცდილი მწვრთნელების დახმარებით სწრაფად დაეუფლა სიმაღლეზე ხტომის ტექნიკას და უძლიერესის სახელი მოიპოვა ჯერ სომხეთის დედაქალაქის, შემდეგ რესპუბლიკის მოსწავლეთა შორის.

ა. დავთიანს ახალი დამთავრებული ჰქონდა ერევნის სამხატვრო ტექნიკუმი, როცა საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. არმიიდან იგი დაბრუნდა როგორც საკმაოდ ჩამოყალიბებული სპორტსმენი და ერევნის სამხატვრო ინსტიტუტის ფერწერის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. მისი თაოსნობით აქ შეიქმნა ფრენბურთელთა გუნდი, რომელიც ერთხანს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ჩემპიონიც იყო, ამასთან დავთიანი წარმატებით გამოდიოდა მძლეოსანთა შეჯიბრებებზე და 194. წელს, რო... როგორც საუკეთესო მძლეოსანი ... ფრენბურთელი, რესპუბლიკურ ნაკ... რებში შეიყვანეს.

სომხეთის მძლეოსანთა რესპუბლიკური პირველობა... მაყურებლის ყურადღება სახტომი ორმოსაკენაა მიპყრობილი. ნიჭიერმა სპორტსმენმა მესამე ცდაზე დაძლია 182 სანტიმეტრი. მაყურებლებმა მქუხარე ტაშით აღნიშნეს სომხეთის ახალი რეკორდის დაბადება სიმაღლეზე ხტომაში.

ა. დავთიანი ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადების, მრავალი საკავშირო შეჯიბრების მონაწილეა. მძლეოსნობაში და ფრენბურთში ნაყოფიერი ვარჯიშით შეძლო პირველი თანრიგის მოპოვება. ხუთი წლის განმავლობაში ზედიზედ ინარჩუნებდა სომხეთის ჩემპიონობას სიმაღლეზე ხტომაში.

— სამხატვრო ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ გამოცდები ჩავაბარე ლენინგრადის აკადემიის ასპირანტურაში. იქ სწავლა დაძაბულ მუშაობას მოითხოვდა, მაგრამ წვრთნის დროს მაინც ვპოულობდი. აკადემიის ფრენბურთელთა გუნდში ბევრი რამ ვისწავლე სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. ბარიშნიკოვისაგან. გამოვდიოდი ლენინგრადის პირველობებზე, — გვითხრა მან.

კოტაიკის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნე ახალგაზრდებში ჩაშლილი იყო მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა, ა... ჰქონდათ ბაზები. გამგეობამ მხარი დაუჭირა ძირეული კოლექტივის ინიციატივას, შეიძინეს ინვენტარი. მაგრამ გამოცდილი მუშაკის გარეშე ძნელი იყო ფიზკულტურული საქმიანობის გაშლა. დახმარებისათვის „კოლტნტესაკანის" რესპუბლიკურ საბჭოს მიმართეს. რესპუბლიკურ...



სურათზე: ა. დავთიანი მუშაობს სურათზე „ეჩმიაძინის საწყლოსნო სადგურში".

# …ნვითარების ნიშნით

ნაციონალური ჭიდაობა „კოხი" იყო, რომელიც ხალხმა შემოინახა და დღესაც სიყვარულით სარგებლობს. ამ სახეობაში აქ თავიანთი ფალავნებიც ჰყავდათ: ი. ფილიპოსიანი, ხ. ზაქარიანი, ე. დილანიანი, ე. ვოსკანიანი, ა. პეტროსიანი და სხვები. ეს უკანასკნელი ახლა 98 წლისაა და მრავალი ორთაბრძოლის მონაწილეა თურქეთის, სპარსეთისა და სხვა მოჭიდავეებთან.

უძველეს სომხეთში თამაშობდნენ აგრეთვე „მაკანახახს", რომელიც ძალიან წააგავს თანამედროვე ჰოკეის.

რევოლუციამდელ სომხეთში მოსახლეობის ფართო ფენებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ რამდენადმე ორგანიზებულ მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მოძრაობაზე. დაშნაკების ხანმოკლე ბატონობის პერიოდში კი იგი მთლიანად ჩაკვდა.

სომეხი ხალხის ფიზიკური აღზრდის ნამდვილი პირობები მხოლოდ 1920 წლის შემდეგ შეიქმნა, როცა სომხებმა განდევნეს მოღალატე დაშნაკები.

განთავისუფლების პირველსავე წელს პირველი საბჭოთა ფიზკულტურული ორგანიზაცია შეიქმნა ერევნისა და ეჩმიაძინის სტამბებში, ლენინაკანის სარკინიგზო დეპოში და კოტაისი და ახტინის რაიონების ზოგიერთ სოფელში. სამი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მათი რიცხვი, გაჩნდა მარტივი ტიპის სპორტული ბაზები, რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საშუალება მიეცათ 1923 წელს ჩაეტარებინათ პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადა ფეხბურთში, მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ქალაქებისა და ზოგიერთი რაიონის წარმომადგენლებმა, ეს იყო სომეხი ხალხის პირველი უდიდესი სპორტული დღესასწაული, რამაც დასაბამი მისცა ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას. რესპუბლიკაში მასობრივად იწყეს ძირეული კოლექტივების ჩამოყალიბება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვამ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებზე უზრუნველყო მასებში ფიზიკური აღზრდის შემდგომი აღმავლობა. ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში გაიხსნა ფიზკულტურის სპეციალური სასწავლებლები. ასეთმა სასწავლებელმა — ფიზკულტურის ტექნიკუმმა მუშაობა დაიწყო სომხეთის დედაქალაქშიც. რესპუბლიკის სპორტსმენთა ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა. გამოცდილმა მწვრთნელებმა საერთაშორისო კლასის სპორტსმენთა მთელი პლეადა აღზრდეს. ვინ არ იცნობს ძალოსნებს, მსოფლიო რეკორდსმენებს სერგო ამბარცუმიანს, რუბენ მანუკიანს, ივანე აზდაროვს, ცნობილ მოჭიდავეს — სარქის ვარდანიანს, მოკრივეს — ანდრო პაპიანსა და სხვებს, მათ ხომ არა ერთხელ უსახელებიათ თავიანთი რესპუბლიკა, საბჭოთა სამშობლო.

სპორტული მოძრაობის სწრაფმა ზრდამ აუცილებელი გახადა ფიზკულტურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, ერევნის ფიზკულტურის ტექნიკუმი უკვე ველარ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს. 1940 წელს ხაჩატურ აბოვიანის სახელობის სომხეთის პედაგოგიურ ინსტიტუტთან შეიქმნა ფიზაღზრდის ფაკულტეტი, რომლის ბაზაზე 1945 წლის ოქტომბერში გაიხსნა ფიზკულტურის ინსტიტუტი.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნების, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი. 1955 წელს 1948 წელთან შედარებით თითქმის სამჯერ გადიდდა ძირეული კოლექტივების რაოდენობა. სპორტის ყველა სახეობაში მომზადდა სამჯერ მეტი სპორტის ოსტატი და თანრიგოსანი. აშენდა და მოეწყო ორჯერ მეტი სპორტული ბაზა.

სომხეთის სპორტული ცხოვრების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადებამ. მარტო 1955 წელს შეიქმნა 280-ზე მეტი ძირეული კოლექტივი, ფიზკულტურულ საქმიანობაში ჩაება ათასობით ახალგაზრდა მუშა, მოსამსახურე, სტუდენტი, კოლმეურნე. საგრძნობლად გაძლიერდნენ ძირეული კოლექტივები.

რესპუბლიკის სპორტული მაჩვენებლების ზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1951 წელს ჩამოყალიბებულმა სპორტსაზოგადოება „კოლტნტესაკანმა" („კოლმეურნე"), რომელიც ყველაზე დიდია და რესპუბლიკის ფიზკულტურელთა თითქმის მესამედს აერთიანებს.

ახლა სოფლის ფიზკულტურელები რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე არა მარტო ღირსეულ წინააღმდეგობას უწევენ შედარებით ძლიერ „დინამოს", „სპარტაკის", „ბურევესტნიკისა" და სხვათა სპორტსმენებს, ბევრ სახეობაში კიდევაც ჯობნიან, ხოლო არტაშანის რაიონის სოფელ ანასტასაკანის, აშტარაკის რაიონის სოფელ ფარპის, იჯევანის რაიონის სოფელ აჩაჯურისა და ოქტომბერიანის რაიონის სოფელ ოქტომბერიანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლებაც კი მოიპოვეს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული საშინაო და საგარეო პოლიტიკის მადლიერი სომეხი ხალხი შრომასა და სპორტში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს.

## …ԱՋՈՂՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ …ԱՂԲԱՆՈՎ

## …დოებრივი ინსტრუქტორი

…ისვა საკითხი, თუ ვინ …ოყო კოტაიკში.

…ალ ორჯონიკიძის სახე…მეურნეობაში, მე დავეხ…ებ ახალგაზრდებს, — …ხდომაზე ა. დავთიანმა.

…ეობაში აღტაცებით შე…რჩენილი სპორტსმენისა … ცნობილი მხატვრის ჩა…

…ელმა საქმიანობა დაიწ…რდების საერთო კრების …ექმნეს სექციები, შეად…ო გეგმა, დანიშნეს მე… დღეები. მუშაობა გა… ფრენბურთელთა ძა…ყო მოედანი, ჩაასვეს …მეს ბადე და ის იყო … დაეწყოთ, რომ ახარტ… ახალგაზრდები დავთია…მ შეაჩერა.

…, მოეწყე, ნაბიჯით იარ! … ძახილი, შემდეგ არბე…ულებინა სიგრძეზე და … ხტომები. კოლმეურნე…ს ხუმრობა ეგონათ, პი…სითაც კი ასრულებ…უქტორის მითითებებს, … დაშლა უბრძანა ისე … ხელიც არავის მიაკარე…გაუკვირდა.

…ფრენბურთის სექციაში … მძლეოსნობისა.

— მოიტანა რა მაგანაც ახალი კანონები, — გაისმოდა საყვედურები აქეთ-იქიდან.

მწვრთნელის გამოცდილებამ თავისი შედეგი გამოიღო. ორჯონიკიძელ ფრენბურთელთა გუნდი საკმაოდ გაძლიერდა. მალე სოფლის ფიზკულტურელთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. ზედიზედ დაამარცხეს ოქტომბერიანის, ნოემბერიანის, ლენინაკანისა და სხვათა გუნდები და ჩემპიონობა მოიპოვეს, ხოლო კ. ზურაბიანმა, ვ. სარქისიანმა, კ. შახბაზიანმა პირველი თანრიგის ნორმატივიც შეასრულეს.

ა. დავთიანი მხოლოდ ფრენბურთელებთან მუშაობით როდი განსაზღვრავდა თავის საქმიანობას — რიგ-რიგებით ეხმარებოდა ჭიდაობის, მძლეოსნობის, ფეხბურთისა და ძალოსნობის სექციებს. ახლა კოტაიკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეთაგანია რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდებს შორის.

— ა. დავთიანმა დახმარება გაგვიწია ხალხთა სპარტაკიადის მზადების საქმეში, — გვითხრა სომხეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ახ. ხაჩიკიანმა, — იმ დღეებში, გუნდებთან მუშაობის გარდა, ხელიდან არ გაუშვია მხატვრის ფუნჯი. თორმეტივე სპორტულმა პლაკატმა, რომლებიც მან სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში შეასრულა, საერთო მოწონება დაიმსახურა.

მართლაც, ა. დავთიანის სპორტული პლაკატები „მოთხილამურე", „მოჭიდავეები", „შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში", „ცხენოსნობა" და სხვები შესანიშნავია როგორც თემის მიგნებით, ისე შესრულების ოსტატობით.

როცა ახალგაზრდებმა ეჩმიაძინში ძველი წყალსაცავის ადგილზე შესანიშნავი საცურაო აუზი მოაწყეს, დავთიანმა გადაწყვიტა იგი დიდ ტილოზე გადაეტანა. თანდათან ისახებოდა აუზი ტრამპლინითა და კოშკურებით, მოვარჯიშე ახალგაზრდებით, რომლებსაც მორიგ მეცადინეობას უტარებს მწვრთნელი.

**ო. გელაშვილი,**

კოტაიკი.

## ი ნ ი

…თა სპარტაკიადა დამ… კავშირის ოლიმპიურმა …დევ ერთხელ გადაახა…ქვეყნის ოლიმპიური ნა…ბო სპორტის ყველა სა…ერმა, რომლებმაც ამ … შედარებით დაბალი …ენეს ადგილი დაუთმეს …ებსა და მაღალი მაჩვე…ნე სპორტსმენებს.

… რიგები შეივსო …რაინის, ბალტიისპირე…ქების, საქართველოსა …ორტსმენებით. მოძმე … იქნა შეყვანილი რამ…სმენი. აი ისინიც:

* * *

…ნვარჯიშული იარაღე…ო ჩემპიონობამდე — …განვლო ა. აზარიან…ლიერეში დარწმუნე…ვაკანელმა მჭედელმა, … წვრთნა ძალოსნო… როგორც მაგარი აგე…უქს ფიზკულტურელთა …რადისათვის მზადება …იგი ერევანში დაუმე…ხ ტანმოვარჯიშეებს, …ამ სახეობით და გადა…ვარჯიშე გამხდარიყო. …მწვრთნელის ს. კარა…ალო მეთვალყურეო… სპორტის ამ რთულ …ჯერ სომხეთში შემდეგ



## წ ა ვ ი დ ნ ე ნ

კი საბჭოთა კავშირში უძლიერესის სახელი მოიპოვა რგოლებზე. იგი შეყვანილ იქნა ქვეყნის ნაკრებში, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. აზარიანი პირველი იყო თავის საყვარელ იარაღზე — რგოლებზე. ახლა სპორტის ამ სახეობის ყველა მოყვარულისათვის კარგადაა ცნობილი „აზარიანის შლიბჯენი".

* * *

... 1950 წელი. ერევანში ტარდებოდა საკავშირო პირველობა მძიმ მრავალჭიდში. მაშინ უძლიერესთა შორის უძლიერესი სომხეთის გუნდის წარმომადგენელი ი. ნოვიკოვი გამოვიდა. ამ გამარჯვების შემდეგ მძიმ მრავალჭიდში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა გადაწყვიტა საფუძვლიანად დაეუფლებოდა თანამედროვე ხუთჭიდს, იგი ხომ საუკეთესო მორბენალი, მსროლელი და მოცურავე იყო. ნაყოფიერმა წვრთნამ სასურველი შედეგი გამოიღო, ი. ნოვიკოვი შეყვანილი იქნა საბჭოთა კავშირის ხუთჭიდელთა ნაკრებში, რომელმაც

## მ ე ლ ბ უ რ ნ შ ი

მონაწილეობა მიიღო XV ოლიმპიურ თამაშებში.

* * *

ბუქარესტის, ვარშავის, მოსკოვის, თბილისის, ერევნისა და სხვა ქალაქების კრივის მოყვარულები არაერთხელ მოუყვანია აღტაცებაში აგრესიული სტილის ვ. ენგიბარიანის ელვისებურ პირდაპირ დარტყმებს. იგი ევროპისა და ბუქარესტის ფესტივალის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონია. ერევნელ სპორტის მოყვარულებს დიდი იმედი აქვთ რომ ენგიბარიანი სამშობლოს ოლიმპიური ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაუბრუნდება.

* * *

ვ. ოვსეპიანმა დამოუკიდებლად შეძლო ბირთვის კვრის შესწავლა და როცა პირველად ოფიციალურ შეჯიბრებაზე გამოვიდა მის მიერ ნასროლი ბირთვი ყველაზე შორს დაეცა, ხოლო თბილისში ჩატარებულ მძლეოსანთა საკავშირო პირველობაზე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. თავის სიძლიერე მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა ხალხთა სპარტაკიადაზე.

ამ დღეებში ტაშკენტში ჩატარებულ მძლეოსანთა შერჩევით შეჯიბრებაზე ვ. ოვსეპიანმა ბირთვი ჰკრა 17 მ და 67 სმ-ზე და გააუმჯობესა საბჭოთა კავშირის რეკორდი.

სურათზე: ვ. ოვსეპიანი.

## მიმდინარეობს მშენებლობა

უკანასკნელ წლებში სომხეთის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში მრავალი სტადიონი, საჭიდაო სარბიელი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი, ჩოგბურთის კორტი, საცურაო აუზი აშენდა.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში ბანაკებში მიმავალი მოსწავლეები ორი-სამი თვით წყდებიან სექციებს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათი სპორტული მაჩვენებლების ზრდაზე. ამ მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით სომხეთის განათლების სამინისტრომ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: ბავშვთა საუკეთესო დასასვენებელ ადგილზე ცახკაძორში მომავალი წლისათვის მოაწყოს საბავშვო სტადიონი და გახსნას სპორტული სკოლა.

ქარხანა „არმელექტროსთან" უკვე დასასრულს უახლოვდება ელექტრომანქანათმშენებელთა სტადიონის კეთილმოწყობა. შარშან დაიწყო და ძირითადად დამთავრდა სპორტსაზოგადოება „კოლტნტესაკანის" საწყლოსნო ბაზა ეჩმიაძინში. აქ ასეული წლების განმავლობაში იყო ეკლესიის მსახურთა მიერ მოწყობილი 170 მეტრი სიგრძისა და 70 მეტრი სიგანის წყალსაცავი. ახლა რესპუბლიკის ფიზკულტურელებმა იგი სპორტულ ბაზად გადააქციეს, მოაწყეს 50-მეტრიანი საცურაო ბილიკები, 3, 5 და 10-მეტრიანი ტრამპლინი და კოშკურები, განზრახულია მომავალ წელს აუზის ერთ მხარეს მოეწყოს დასაჯდომები 2.000 მაყურებლისათვის.

„კოლტნტესაკანის" რესპუბლიკური საბჭო კოტაიკის რაიონში იწყებს ფიზკულტურის სასახლის მშენებლობას, რომელსაც ექნება დარბაზები სპორტის წამყვან სახეობებში მეცადინეობისათვის. იგი უდიდესი იქნება რესპუბლიკაში.

ერევანში დასასრულს უახლოვდება „სპარტაკის" სტადიონის რეკონსტრუქცია. ერევნელ სპორტის მოყვარულებს არ ჰქონდათ ზამთრის საცურაო აუზი. ასე იყო ამ ცოტა ხნის წინათ. ასეა ჯერჯერობით ამჟამადაც, მაგრამ ყოველივე ამას ბოლო მოეღება. ერევანში დაიწყეს 25×12,5 მ ზამთრის დახურული აუზის მშენებლობა. აქვე მოეწყობა ტრამპლინი და კოშკურა წყალში ხტომისათვის. საცურაო აუზის მშენებლობა დაპროექტებულია აგრეთვე კიროვაკანსა და ლენინაკანში. ხოლო ერევნის კომკავშირის პარკში არსებული საკმაოდ დიდი ხელოვნური ტბა გადაიქცევა დედაქალაქის საწყლოსნო სპორტის მოყვარულთა ერთ-ერთ საუკეთესო კერად, იგი მომავალი წლისათვის რეკონსტრუირებულ იქნება საწყლოსნო სპორტის ყველა სახეობისათვის.

დაპროექტებულია აგრეთვე „ბურევესტნიკის" სპორტდარბაზის აგება ერევანში და სტადიონის მშენებლობა 15 ათასი მაყურებლისათვის მდინარე ზანგეზურის ნაპირას.

ერევანში, მიქოიანის რაიონში, სპორტსმენები მიიღებენ სპორტულ კომბინატს, რომელსაც უკვე სამართლიანად უწოდებენ „ერევნის ლუჟნიკს", რადგან სპორტულ პარკში იქნება სტადიონი 20.000 მაყურებლისათვის, ხელოვნური ტბა, მანეჟი, საზაფხულო თეატრი 3000 მაყურებლისათვის, კალათბურთის (4), ფრენბურთის (4), ჩოგბურთის (9) მოედნები, საწყლოსნო აუზი, მოედნები ნორჩი სპორტსმენებისათვის და სხვ. პარკ-კომბინატის ტერიტორიაზე დაირგვება 90.000 დეკორატიული მცენარე.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ახალი შრომითი მიღწევებით პასუხობენ სომხეთის ახალგაზრდები, ყოველდღიურად დაუღალავად იღვწიან „ერევნის ლუჟნიკის" დროულად დამთავრებისათვის.

**ტ. აკოპიანი**

# გაიმარჯვეს გუდაუთელებმა



### საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ცხენოსნობაში

საცხენოსნო სპორტის ერთ-ერთ ყველაზე რთულ სახეობას წარმოადგენს მრავალჭიდი. მართლაც, უაღრესად მაღალი, დახვეწილი მომზადება უნდა ჰქონდეთ მხედარსაც და ცხენსაც, რომ სამი დღის მანძილზე თანაბარი სიძლიერით გამოვიდნენ მანეჟზე, გაიარონ დასერილი ადგილმდებარეობა, დაბრკოლებათა ზოლი.

სამანეჟო სვლა ყველა სხვა თვისების გარდა მოითხოვს, რომ ცხენი იყოს კარგად გაწვრთნილი, დამჯერე, შეუცდომლად ესმოდეს მხედრის ყველა სურვილი. სულ მცირე ურჩობისა და სიფიცხის შემთხვევაში რეპრიზი სრულდება არაზუსტად, დარღვევით და ულმობელი მსაჯები, ისევე, როგორც ტანვარჯიშში, სპორტსმენს ქულებს აკლებენ. კარგი მომზადება აჩვენეს გუდაუთის, ზუგდიდის, სოხუმის სპორტსმენებმა. ჩინებული იყო კონკურსგარეშე მონაწილე სომხეთის გუნდის წევრების გამოსვლა.

სამჭიდელთა შეჯიბრების მეორე დღის პროგრამა შეიცავს საველე გამოცდას. ეს მეტად ძნელი და დამქანცავი შეჯიბრებაა: სვლა გზებზე — 7 კმ, დოლი დაბრკოლებათა გადალახვით — 2 კმ, კვლავ სვლა გზებზე—15 კმ, 4-კილომეტრიანი კროსი დაბრკოლებებით, დამამშვიდებელი დოლი 2 კილომეტრზე. და ყველაფერი ეს დროის ჩათვლით. მხედარმა ეს დღე შეიძლება დაამთავროს დადებითი ან უარყოფითი ქულების დიდი განსხვავებით.

გუდაუთის ცხენოსნებმა ამ სახეობაში საკმაოდ დიდი რაოდენობის უარყოფითი ქულები მიიღეს: არძინბამ — 217, გობეჩიამ — 124. აქ მათ კიდევ ერთი მეტად სამწუხარო მარცხი მოუვიდათ. სამჭიდის პირველობის ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი გუმბა შეჯიბრებიდან გამოვიდა. კროსში დაბრკოლებათა გადალახვის დროს მისმა შესანიშნავმა ცხენმა „ტიულპანმა" ფეხი წამოკრა წინაღობას, ცუდად დაეცა და ადგილზევე განუტევა სული.

შეჯიბრება სამჭიდში დამთავრდა დაბრკოლებათა გადალახვით. საბოლოოდ, გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს გუდაუთელებმა — არძინბამ (ცხენი „სალამი"), პამბამ („კარტინკა"), გობეჩიამ („ებრონი"). მათ მიიღეს 493 საჯარიმო ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ზუგდიდელები (ჯგერენაია, ნაჭყებია, ხარებავა) — 623,4 ქულა, მესამეზე—სოხუმელები (ბარანოვსკი, ვასენკოვი, კრიუკოვი)— 908,8 ქულა. სომხეთის გუნდმა მოაგროვა 258,6 ქულა.

პირად ჩათვლაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა სპორტსმენმა აფციაურმა (ცხენი „გუნდილენი"). მან 58 ქულით საგრძნობლად გაუსწრო გობეჩიასა და პამბას, რომელთაც შესაბამისად დაიკავეს მეორე და მესამე ადგილები.

სამანეჟო სვლის მეტად რთული სახეობაა ცხენის გაწვრთნა „ბ" ჯგუფის პროგრამით (მას სხვაგვარად „სან-გიორგი" ეწოდება). იგი ცხენოსნობის კლასიკურ სახეობას წარმოადგენს, სადაც შეფასება წარმოებს დიდი სიზუსტით. საერთო მოწონება დაიმსახურა გუდაუთელმა ცხენოსანმა პონომარენკომ. მისი „ლედოკი" ზუსტად გრძნობს მხედრის ყოველ მოძრაობას და თვითეულ რეპრიზს ასრულებს დასრულებულად, გამოკვეთილად. მსაჯებმა პონომარენკოს 129 ქულა მისცეს. კარგი იყო ერისთავის (თბილისი) გამოსვლა „ბენისზე". მან 105,6 ქულით დაიკავა მეორე ადგილი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს გუდაუთელებმა, ზუგდიდის გუნდს დარჩა მეორე ადგილი.

რაც არ უნდა საინტერესო იყოს შეჯიბრება სხვა სახეობებში, როცა სტარტი ეძლევა დოლს, მაყურებლებში ყოველთვის განსაკუთრებული გამოცოცხლება იწყება. ასეთი ინტერესი დოლისადმი გასაგებია—მაყურებელი პირადად, თუ შეიძლება ითქვას, რთული სამსაჯო გამოთვლების გარეშე ადევნებს თვალყურს ცხენთა რბოლას.

კამათი ცხენების აჯკარგიანობაზე და სანაძლეოები მაყურებლებში დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა 4 კილომეტრზე „სტიპლ-ჩეზის" მონაწილენი სტარტზე გამოდიოდნენ.

მისცა თუ არა მსაჯმა სტარტი, წინ გაიჭრა აფციაურის „გუნდილენი". ჯერ პირველი წრე არ იყო დამთავრებული და აფციაური უკვე დიდი მანძილით იყო დაცილებული ჯგუფს. რომელშიც იყვნენ ზუგდიდელი ხარებავა („ნახოდკა"), ფოთელი ტოტიკოვი („გენაცვალე") და სოხუმელი ხაინდრავა („პატეფონი").

მეორე წრე აფციაურმა კვლავ მაღალ ტემპში გაირბინა, თუმცა გამოცდილი თვალი შეატყობდა, რომ „გუნდილენი" თანდათან უფრო უკლებდა რბენის ტემპს. დაღლილი „გუნდილენი" მესამე კილომეტრზე თითქმის ნაბიჯზე გადავიდა, ხოლო „გენაცვალე" და „პატეფონი" სულ უფრო და უფრო ეწეოდნენ ლიდერს. მალე აფციაური შესამჩნევად ჩამორჩა და მესამე ადგილზე გუდაუთელმა ჩამბამ გადაინაცვლა.

დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, როცა ფინიშამდე 200-300 მეტრის დაცილებით ტოტიკოვმა და ხაინდრავამ სრული ძალით მიუშვეს ცხენები. ფინიშის ხაზზე სულ მცირე მანძილით წინ ტოტიკოვი იყო, მაგრამ შემდგომში გამოირკვა, რომ „გენაცვალე" სამწლინახევრის ცხენი ყოფილა, მაშინ, როცა დებულების მიხედვით დოლში არ დაიშვებოდა 5 წელზე ახალგაზრდა ცხენი. ამრიგად, პირველი ადგილი მიეკუთვნა დოლის ვეტერანს „პატეფონს", რომელსაც წარსულში მრავალჯერ აქვს მოგებული საქართველოს პირველობა მარულაში.

სადა დოლი 3 კილომეტრზე დამთავრდა სამი ზუგდიდელის — ხასიას, როსიაკისა და სართანიას გამარჯვებით. მათგან საუკეთესო შედეგი ჰქონდა ხასიას — 3.19,8. დოლი 1.500 მეტრზე მოიგო თბილისელმა გაშიბაიაზოვმა — 1.43,6.

თავისებური და საინტერესო შეჯიბრება უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში. ფინალში გასული 4 სპორტსმენი ოთხჯერ გადის ერთიდაიგივე ტრასას, მაგრამ ოთხივე გიტში ისინი ერთმანეთში იცვლიან ცხენებს. ასე რომ, თვითეულმა სპორტსმენმა დაბრკოლებები უნდა გადალახოს როგორც საკუთარი, ისე ყველა თავისი მოწინააღმდეგის ცხენზე.

ფინალში გავიდნენ სომხეთის გუნდის ორი წევრი ზემსკოვი (ცხენი „ლუგა") და გლუშენკოვი („ლეტნი"), სოხუმელი ნილოვი („ვანადი") და სიღნაღელი ძამაშვილი („კაპრიზნაია").

ფინალის პირველ გიტში დაწინაურდა ზემსკოვი. კიდევ უფრო უკეთესი იყო მისი შედეგი მეორე გიტში, მაგრამ შემდგომში მან დაბალი შეფასებები მიიღო, ხოლო ნილოვი მეთოდურად აუმჯობესებდა თავის მაჩვენებლებს. საბოლოოდ, ნილოვმა დაიკავა პირველი ადგილი (48,25 ქულა), ხოლო ზემსკოვმა — მეორე (49,75).

წინა წლებთან განსხვავებით უფერულად ჩატარდა შეჯიბრება ჩეხვაში. აქ საუკეთესო აღმოჩნდა გუდაუთელი ჩუაზი.

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა გადალახვა „საქართველოს თასზე" გუჩბამ მოიგო „ტიულპანზე". გუნდური ჩათვლისათვის თასის მოსაგებად საჭიროა რთული კლასის დაბრკოლებათა გადალახვაც. აქ ყველას აჯობა ზუგდიდელმა ჯგერენაიამ („ზაურბეგი"), რომელმაც 20 ქულა მიიღო. სოხუმელი საფრონოვი (ცხენი „ვოსტოკი") მას 5,25 ქულით ჩამორჩა.

საერთო ჩათვლაში კარგად მომზადებული აღმოჩნდნენ სოხუმელი ცხენოსნები. მათ 159,75 ქულა მიიღეს და საგრძნობლად გაუსწრეს მეორე ადგილზე გამოსულ გუდაუთის გუნდს. მესამე ადგილზეა აჭარის სპორტსმენთა კოლექტივი. სომხეთის ცხენოსნებმა აქაც მაღალი კლასი აჩვენეს და სულ 90 საჯარიმო ქულა მიიღეს.

9 ცხენოსანი მონაწილეობდა მარულაში 10 კილომეტრზე. ისინი პირველ ორ წრეზე საერთო ჯგუფად მიდიოდნენ და თუმცა მხედრები თავს უჭერდნენ ცხენებს, რბოლის ტემპი საკმაოდ მაღალი იყო. შემდგომში ჯგუფს გამოეყვნენ ლიდერები ნილოვი (სოხუმი), ხალვაში (აჭარა), გოგუა (ჩხოროწყუ), მოხენი (სოხუმი).

ასე მიმდინარეობდა რბოლა მერვე წრემდე, მონაწილეთა საერთო რაოდენობა თანდათან მცირდებოდა — ჩამორჩენილნი ტოვებდნენ ასპარეზს, მაგრამ წინ წასულნი არ უკლებდნენ ტემპს. მერვე კილომეტრზე ნილოვი და გოგუა კიდევ უფრო დაწინაურდნენ ფინიშის ხაზზე პირველი იყო ნილოვის „გმირი", რომელსაც მოწინააღმდეგეებზე მეტი გამძლეობა აღმოაჩნდა — 13.27,8. გოგუას „გაბიტუსი" ბოლო მონაკვეთზე ჩამორჩა გამარჯვებულს. მისი დრო 13.34,4.

ყველა შეჯიბრებას ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა. ისინდის ნახევარფინალურ შეხვედრებში ერთნაირი ანგარიშით — 1:0 ცხაკაიელებმა მოუგეს სოხუმელებს, ხოლო აჭარლებმა — აბაშელებს.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ცხაკაიასი და აჭარის გუნდები. პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ —0:0. ანგარიში დიდხანს არ იყო მეორე ტაიმშიც. მხოლოდ უკანასკნელ წუთებში მიიღეს ცხაკაიელებმა ერთადერთი ქულა, რომელმაც მათ მოუტანა გამარჯვება — ლაშქარავა დაეწია მოწინააღმდეგეს და „დაჭრა" მისი ცხენი. ისინდის თასი მოიგო ცხაკაიას გუნდმა.

ფინალური შეხვედრა ცხენბურთში შესანიშნავი იყო თავისი დაძაბულობით, მძაფრი ბრძოლით. ნახევარფინალში გუდაუთამ მოუგო აბაშას (6:2), ხოლო ცხაკაიამ — ჩოხატაურს (8:3).

ფინალი დაიწყო გუდაუთელთა მძლავრი შეტევებით. ორიოდე წუთი იყო გასული დაწყებიდან და ანგარიში უკვე 2:0 იყო მათს სასარგებლოდ. მართალია, ცხაკაიელებმა შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა, მაგრამ გუმბამ კიდევ ორი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. ტაიმი მოიგეს გუდაუთელებმა — 4:1. განსხვავება ანგარიშში არ იყო დიდი, მაგრამ გუდაუთელებს მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ თამაშში. თავდასხმაში განსაკუთრებით ძლიერი იყო გუმბა, ხოლო დაცვაში ანშბა წარმატებით უმკლავდებოდა მოწინააღმდეგის გარღვევაზე გასვლის ყოველ ცდას.

დაიწყო მეორე ტაიმი და სურათი მინდორზე სრულიად შეიცვალა. ცხაკაიელებმა მოაწესრიგეს ურთიერთმოქმედება დაცვაში, შეძლეს გუმბას ნეიტრალიზება და ჩაკეტეს გზა თავისი კარისაკენ. თავდასხმაში ბრწყინვალედ ითამაშა ლაშქარავამ. იგი ამ შეხვედრის ნამდვილი გმირი იყო. ყოველ, სულ მცირე შესაძლებლობასაც კი იგი სწრაფად და დაუყოვნებლივ იყენებდა იერიშისათვის. ლაშქარავა ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან უტევდა მოწინააღმდეგეს და ამას ისე ოსტატურად და მოულოდნელად აკეთებდა, რომ ანშბა უძლური აღმოჩნდა მასთან საბრძოლველად. ეს მეტად საინტერესო შეხვედრა ცხაკაიელთა გამარჯვებით — 9:4 დამთავრდა.

საქართველოს XIV პირველობა ცხენოსნობაში დამთავრდა. პირველი ადგილი დაიკავა გუდაუთის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ზუგდიდელი ცხენოსნები, მესამეზე — სოხუმელები.

გამარჯვებულებს გადაეცა ჯილდოები. სამახსოვრო საჩუქარი და სიგელი გადაეცა აგრეთვე სომხეთის გუნდს, რომელიც წარმატებით მონაწილეობდა შეჯიბრებაში.

**ბ. ქორქია**

* * *



სურათებზე: ზევით — დაბრკოლებათა გადალახვის რთული კლასის ტრასაზე, ქვევით — მხედრები იბრძვიან ბურთისათვის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## დიდი მატჩის წინ

გასულ წელს, მოსკოვში, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა გუნდების ამხანაგურ მატჩში გროსმაისტერმა ს. რეშევსკიმ ორ შეხვედრაში ერთი მოუგო მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკს. ამ ამბავმა საზღვარგარეთულ გაზეთებსა და ჟურნალებში ტენდენციური გამოხმაურება ჰპოვა.

იმისათვის, რომ დაეწყნარებიათ დიდი პრეტენზიების მქონე ამერიკელი გროსმაისტერი, მას შესთავაზეს ეთამაშა ამხანაგური მატჩი რომელიმე საბჭოთა გროსმაისტერთან, რადგან ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეები მსოფლიო ჩემპიონის უახლოესი პრეტენდენტები არიან. რეშევსკის არჩევანი შეჩერდა გროსმაისტერ დავით ბრონშტეინზე.

უკვე დამთავრდა მოლაპარაკება მატჩის მოწყობაზე. გროსმაისტერები გაითამაშებენ 24 პარტიას. მატჩის პირველი ნახევარი შედგება მოსკოვში დეკემბერში, ხოლო მეორე — 1957 წლის იანვარში იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში.

## საერთაშორისო ჯილდო

1956 წლის ზაფხულში ჰოლანდიაში გაიმართა დიდი საერთაშორისო კონკურსი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში. კონკურსში მონაწილეობდნენ ჰოლანდიის, ინგლისის, არგენტინის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის და სხვა ქვეყნების ეტიუდისტები.

ამას წინათ ჰოლანდიურმა გაზეთმა „ტიიდსკიფტმა" გამოაქვეყნა კონკურსის შედეგები. I პრიზი მიეკუთვნა საბჭოთა ეტიუდისტს თბილისელ იოსებ კრიხელს, II პრიზი ჰ. კასპარიანს (ერევანი), III პრიზი — ჩეხოსლოვაკელ ეტიუდისტს ფლიტს.

ქვემოთ მოგვყავს ი. კრიხელის ეტიუდი.



a b c d e f g h

თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს

1. კa6! (აგებს 1. მc5? b2 2. კf5 3. კd2 e1ლ 4. კ:e1 მe3+5.ო მ: გამო) 1. ... მფ:a6 (1. ... b2 შემდ თეთრები ადვილად აღწევენ ყაიმს კd3 e2 3. კh4 კc3 4. მფf3 e1 5. კ:e1 კ:e1 6. მe5! მc3 7. მc4 b1 8. კ:b1 მ:b1 9. მფe2 კc3 10. მფd3= 2. მc5+ მფb6 3. მ:b3 e2 4. კh კc3 5. კf2+! (შავების ძირითადი მ ზანია გამსვლელ პაიკში ისე მოიგ ფიგურა, რომ შეინარჩუნონ პაიკი a რაც მათ მომავალში მოგებას აძლე ამიტომ თეთრების ამოცანაა არ გა ტარებინონ შავებს თავისი განზრახ თუ 5. მფf3?, მაშინ e1ლ 6. კ:e1 7. მფe2 კc3 a5 პაიკი დაცუ 5. ... მფc7! (მხოლოდ არა c6-ზე არც მერვე ჰორიზონტალზე. პირვ შემთხვევაში თეთრები მd4+ და აკავებენ პაიკს, ხოლო მეორეში პა a5 დაუცველი რჩება) 6. კg3+! მფ (იძულებითია მოგებაზე თამაშის გა სხვა შემთხვევაში მუდმივი ქიშით თრები აღწევენ სასურველ ყაიმს) მფf3 e1ლ 8. კ:e1 კ:e1 9. მფe2! (კუ დაკავებულია ერთადერთი პაი დაცვით) 10. მფd3! (შეიქმნა ეტიუ ძირითადი ორმხრივი ცუგცვანგის პ ზიცია. შავი ფიგურები ერთმანე მიბმული არიან) 10. ... კe1 11. მ კc3 12. მფd3! მფd6 13. მფc4! მ 14. მფd3!—პოზიციური ყაიმი.

ეს შინაარსიანი ნაწარმოები ი. კ ხელმა მიუძღვნა ოსტატ ჰ. კასპარი

## ფინალში მონაწილეობისათვის

12 ნოემბერს თბილისიდან დნ როპეტროვსკში საბჭოთა კავში ქალთა ჩემპიონატის ფინალში მო წილეობისათვის გაემგზავრნენ ტუ ნირის მონაწილენი საქართვე ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ტოგონიძე და ელისო კაკა ჩვენს მოჭადრაკეებს მწვრთნე გაჰყვა ვახტანგ ყარსელაძე.

ფინალი დაიწყება 15 ნოემბერს.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-88-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 06361